საქართველოს
რკინიგზა
1872-დან

04.03.2025

N 784

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს

გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს

ი. ჩიდრაშვილს

თქვენი 2025 წლის 29 იანვრის N6/4248 წერილის პასუხად, ქალაქ ახალციხეში მდებარე 270 და 477 კვ.მ (ს/კ 62.09.62.588 და 62.09.60.593) უძრავი ქონების პრივატიზების შესახებ შესახებ გაცნობებთ რომ, სამომავლოდ აღნიშნულ ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის სამშენებლო პროექტი საჭიროა წინასწარ შეთანხმდეს სს „საქართველოს რკინიგზასთან".

ვინაიდან უცნობია უძრავი ქონების გამოყენების სამომავლო პერსპექტივა, დამატებით გაცნობებთ რომ, მასზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების 2.07.01-89 „ქალაქთმშენებლობა"-ს 3.8 და 6.8 პუნქტების, ნავთობპროდუქტების საწყობების სამშენებლო ნორმების და წესების СНиП II-106-79, 12.8 პუნქტის ცხრილი 13-ის, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების НПБ 111-98 ცხრილი 1-ის მიერ დადგენილი პირობები. უძრავ ქონებაზე გავრცელებული სხვა შეზღუდვები დამოკიდებულია განხორციელებული საქმიანობის სახეობაზე და რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობებით, ნორმატიული დოკუმენტებით, სამშენებლო-ტექნიკური ნორმებითა და წესებით, სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესების მოთხოვნებით.

საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების 2.07.01-89 „ქალაქთმშენებლობა"-ს პუნქტი 6.8-ის მოთხოვნის თანახმად - საცხოვრებელი განაშენიანება საჭიროა გამოცალკევდეს რკინიგზის ხაზებისაგან სანიტარულ-დამცველი ზონებით სიგანით 100 მ., ათვლა ხდება განაპირა სარკინიგზო ლიანდაგის ღერძიდან. იმ შემთხვევაში, როცა რკინიგზის ხაზი განლაგებულია ჭრილში ან ხორციელდება სპეციალური ღონისძიებები ხმაურისგან დასაცავად, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშენებლო ნორმების და წესების II-12-77-ის მოთხოვნებს, - დასაშვებია სანიტარულ-დამცველი ზონის სიგანე შემცირდეს, მაგრამ არა უმეტეს - 50 მეტრით.

იმ შემთხვევაში თუ ტერიტორია განლაგებულია რკინიგზის ლიანდაგის მაღალი ყრილის მიმდებარედ მასზე ვრცელდება ОСН 3.02.01-97 „რკინიგზის გასხვისების ზოლის პროექტირების ნორმების და წესების" 2.2.3.4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, - თუ რკინიგზის ლიანდაგი განლაგებულია 2 მეტრზე მაღალ ყრილზე, ლიანდაგის ღერძიდან რკინიგზის ექსპლუატაციასთან კავშირის არმქონე ნაგებობამდე დაშორება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 მეტრს, ავარიის შემთხვევაში უსაფრთხოების პირობებიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნული პირობების დაცვის შემთხვევაში, სს „საქართველოს რკინიგზა" არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ 62.09.62.588 და 62.09.60.593 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების განკარგვა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი

ნინო ჯორბენაძე

თამარ მეფის გამზირი N15
თბილისი, საქართველო 0102

N15, Tamar Mepe Ave
0102, Tbilisi, Georgia 0102

Tel : 219-95-67 ; 219-91-59
Mail : Kancellary@railway.ge

ს/კ : 202886010

3 № 014416